JEL Classification: L26, O31, O33, Q55 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

TECHNOLOGICAL INNOVATIONS AND OPPORTUNITIES FOR ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA

AMIRANI MAGLAKELIDZE

Researcher

The Institute for the Research of Economic and Social Problems of Globalization, European University, Georgia

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

maglakelidze.amirani@gmail.com

Abstract. Given the modern global conjuncture, technological innovation and creative thinking play a major role in the process of implementing entrepreneurial activities. The rapid development of digital technologies and the emergence of diverse digital platforms have given impetus to the transformation of entrepreneurial behavior and the conduct of entrepreneurial activities from the real - to the virtual environment. In the modern digital world, there is no alternative to technological entrepreneurship. 5G network, blockchain, 3D printing and other technological innovations make business processes faster, more reliable and flexible. The generation and implementation of continuous innovative ideas in technology has led to the emergence and development of information technology, digital technology, digital platforms, on which the modern form of entrepreneurship - digital entrepreneurship is based.

One of the obstacles to the development of digital entrepreneurship in Georgia is the lack of proper access to digital technologies. At the same time, the population of Georgia has not yet developed the digital culture and skills that ensure the implementation of commercial activities in the virtual space. According to the National Statistics Office of Georgia in July 2019 in the country: 70.6% of households actively used the Internet, only 20.8% of them purchased goods and/or services through digital channels. In 2018, only 3.2% of enterprises received an order through the website. These data indicate the low level of Internet use by the public and, consequently, enterprises for commercial purposes. This untapped segment, at the same time, creates a solid potential for further development of digital entrepreneurship. Especially today, when physical mobility is restricted due to the worldwide pandemic COVID-19.

Innovations and technologies are the main driving forces of modern entrepreneurship. Therefore, the emphasis of the Government of Georgia in this direction and the launch of appropriate economic policy instruments should positively support the transformation of the entrepreneurial environment and entrepreneurial behavior in the country. Given the current situation in Georgia, in order to identify and develop digital entrepreneurial opportunities, it would be appropriate to take the following measures: First, the state must ensure that more people have access to the Internet and digital technologies; Second, increase the scale of financial support programs for innovative and digital entrepreneurial initiatives, also, to help startups attract funding sources, to consult on opportunities to attract venture investments, to make it possible to implement a more technologically innovative idea; Third, primacy should be given to Georgian universities in the fields of entrepreneurship, innovation and technology, computer science; Fourth, the network of innovation centers should be expanded and similar educational spaces should be created to ensure the development of technical and entrepreneurial skills of the population (especially the rural population) in the field of innovation and technology.

KEYWORDS: TECHNOLOGICAL INNOVATION, ENTREPRENEURSHIP, DIGITAL ENTREPRENEURSHIP, DIGITAL TECHNOLOGY, DIGITAL PLATFORM.

For citation: Maglakelidze, A. (2020). Technological Innovations and Opportunities for Entrepreneurship Development in Georgia. *Globalization and Business, 10.* 264-269. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

JEL Classification: L26, O31, O33, Q55 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

ტექნოლოგიური ინოვაციები და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ამირან მაღლაკელიძე
მეცნიერ–თანამშრომელი,
გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maglakelidze.amirani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური ინოვაციები, მეწარმეობა, ციფრული მეწარმეობა, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული პლატფორმები.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე ა. (2020). ტექნოლოგიური ინოვაციები და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 264-269. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

შესავალი

თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ტექნოლოგიურ ინოვაციებს და შემოქმედებით აზროვნებას მთავარი როლი ენიჭება. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მრავალფეროვანი ციფრული პლატფორმების წარმოქმნამ, ბიძგი მისცა სამეწარმეო ქცევის ტრანსფორმაციას და სამეწარმეო საქმიანობის რეალურიდან ვირტუალურ გარემოში წარმართვას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ინოვაციის დომინანტური როლის წარმოჩენას სამეწარმეო პროცესში და საქართველოში, ციფრული მეწარმეობის, როგორც სამეწარმეო აქტიურობის თანამედროვე ფორმის, განხორციელების შესაძლებლობების გამოკვეთას და, ამისათვის, შესაბამისი ჩასატარებელი ღონისძიებების წარმოდგენას.

თანამედროვე ეკონომიკის ძირითად რესურსს ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს. წარმოების პროცესი კი დაკავშირებულია მეცნიერებატევად ტექნოლოგიებთან (Bedianashvili, 2018: 58). მეწარმეობის თანამედროვე ფორმების განვითარებაში, შეუქცევადი ტექნოლოგიური ინოვაციები ცენტრალურ ადგილს იკავებს. ტექნოლოგია ხშირ შემთხვევაში გარკვეული ტექნიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება კონკრეტული მიზნის მისაღწევად. (Runge, 2014: 7) მუდმივი ინოვაციები ინფორმაციულ ტექნიკაში – კომპიუტერის სიმძლავრეზე, გაციფრულებაზე, ქსელში ჩართვასა და მონაცემთა რაოდენობაზე დაყრდნობით, რეალიზდება ისეთ ინოვაციურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, როგორიცაა: ინტერნეტი, მობილური ტელეკომუნიკაცია და ინტერაქტიული ტელევიზია (Kollmann, 2019: 5). განუწყვეტელი ინოვაციატევადი იდეების გენერირებამ და რეალიზაციამ განაპირობა ინფორმაციული ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული პლატფორმების წარმოქმნა და განვითარება, რასაც პრაქტიკულად ეფუძნება ციფრული მეწარმეობა.

დღევანდელი ციფრული ეპოქისთვის დამახასიათებელია ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება. ის არღვევს ტრადიციულ საზღვრებს და ცვლის მეწარმეობისა და ინოვაციების პროცესებსა და შედეგებს. მას აქვს თანდაყოლილი გენერირების უნარი, შეუძლია მუდმივად განვითარება და ასევე, ძალუძს, გადაატრიალოს დადგენილი ქცევები (Berger et al., 2019). უკანასკნელი წლების განმავლობაში პლატფორმების ეკოსისტემაში საწარმოების რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ყველასათვის ცნობილია ისეთი ციფრული პლატფორმები, როგორიცაა: Apple, Google, Amazon, Alibaba და სხვა. პლატფორმების ეკოსისტემების საფუძველია პროდუქციის, მომსახურებისა და ბიზნეს პროცესების გაციფრულება, რა დროსაც ადგილი აქვს გლობალური ლანდშაფტის ფორმირებას (Evans & Gawer, 2016). მომძლავრებულმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ციფრულმა პლატფორმებმა და ციფრულმა ინფრასტრუქტურამ გარდაქმნა ინოვაციისა და მეწარმეობის სფერო, რასაც მოყვება, როგორც ფართო ორგანიზაციული ისე, პოლიტიკური შედეგები (Nambisan et al. 2019).

1. ტექნოლოგიური ინოვაციები, როგორც თანამედროვე მეწარმეობის წარმატების გარანტი

სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისთვის ინოვაციის შეუცვლელ როლზე შუმპეტერიდან იწყება მსჯელობა, რომელიც წარმოების საშუალებების ახალი კომბინაციით, სამე-

წარმეო პროცესში ახალი სიცოცხლის შეტანაზე, რაღაც ახლის შექმნასა და ახლის ძიებაზე აქცენტირებდა (Schumpeter, 1931: 100–101). ინოვაცია, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მთავარი განმაპირობებელია, ხოლო მეწარმე, რომელიც ახდენს ცოდნის კომერციალიზაციას, გამორჩეულ როლს ასრულებს ამ პროცესში (Piegeler, 2015: 49). დღესდღეობით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება და ეფექტიანობა (Bedianashvili, 2017: 10).

ინოვაციის დინამიკურმა და ცვალებადმა საზღვრებმა მეწარმეობის პროცესები ნაკლებად შემოზღუდულად აქცია, ვიდრე ტრადიციულ ეკონომიკაში. სამეწარმეო პროცესების გაციფრულებამ ხელი შეუწყო სამეწარმეო პროცესის სხვადასხვა ფაზებს შორის საზღვრების დაშლას და ინოვაციური ბარიერების შემცირებას (Sahut et al., 2019)

ციფრულ ეკონომიკაში მეწარმეობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია განუწყვეტელი ტექნოლოგიური ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიური და ელექტრონული საბაზრო კონიუნქტურის პროგრესული ხედვა, კრეატიულობა და სამომავლო ტენდენციების პროგნოზირების უნარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეუქცევადი წარმატება (Maglakelidze, 2020).

ციფრულ ეკონომიკაში, ყოველი საწარმოს დაფუძნებისას, ბიზნეს კონცეფციის ცენტრში დგას იდეა (Kollmann, 2019: 134), თუმცა, აუცილებელია, მისი რეალიზება მოხდეს პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებაში, რა დროსაც იგი ასევე შეიძლება აღწერილ იქნას, როგორც ინოვაცია. შეთავაზება მხოლოდ მაშინ ითვლება ინოვაციად, როდესაც იგი წარმატებით არის განხორციელებული და გამოიყენება რომელიმე საზოგადოების ანდა ბაზრის მიერ, რომლისთვისაც მოაქვს სარგებელი. ინოვატორისთვის, წარმატების მისაღწევად, მნიშვნელოვან ასპექტებს შემოქმედებითობა, წარმოსახვა, გამჭრიახობა, ინფორმირებულობა და ტესტირება წარმოადგენს (Whittington 2018, 2–4), რისკის გაცნობიერებასა და გაბედულებასთან ერთად (Maglakelidze, 2020). ამ საფუძველზე მიიღწევა წარმატება, იქმნება ციფრული ღირებულება, ჩნდება მოტივაცია სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა და შეუქცევადი კვლავწარმოებისთვის (იხ. ნახაზი).

2. ციფრული მეწარმეობის ფენომენი

ციფრული მეწარმეობის კვლევა, ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში უაღრესად აქტუალურია. რა არის ციფრული მეწარმეობა და რა პროცესებთანაა ის დაკავშირებული? ევროკომისიის განმარტებით, ციფრული მეწარმეობის მიზანია, ციფრული ტრანსფორმაციით, მოიცვას ბიზნესის ყველა სექტორი, შეიქმნას ახალი ციფრული კომპანიები, გაუმჯობესდეს ინოვაციური საქმიანობა. ამისათვის საჭიროა, გამოყენებულ იქნას შემდეგი ციფრული ტექნოლოგიები: სოციალური, მობილური, დიდი ზომის მონაცემები (big data) და ღრუბლოვანი (cloud) გადაწყვეტები (European Commission, 2015: 14). კოლმანს მიაჩნია, რომ ციფრული მეწარმეობა დაკავშირებულია, ციფრულ ეკონომიკაში, დამოუკიდებელი და ორიგინალური, ეკონომიკური სუბიექტის (მაგ., ელექტრონული სტარტაპი) შექმნასთან და პროდუქციის ან/და მომსახურების სპეციფიკური ონლაინ შეთავაზებით მომხმარებელთა მრავალგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან (Kollmann, 2019: 19). ციფრული მეწარმეობა აღწერს ციფრული ღირებულების სამეწარმეო შექმნის პროცესს, რომელიც მოიცავს ციფრული ინფორმაციის ეფექტურ მოპოვებას, დამუშავებას, განაწილებასა და მოხმარებას. ამისათვის, იგი იყენებს სხვადასხვა სოციალურ-ტექნიკურ ციფრულ შესაძლებლობებს (Sahut et al., 2019: 7). აღნიშნულ პროცესში ასევე მიმდინარეობს ინდივიდების სამეწარმეო შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეფასება და გამოყენება, რა დროსაც ხორციელდება ციფრული პროდუქტის განვითარება და ციფრული არხებით რეალიზაცია (Pioch, 2019: 3). ლი დინის და სხვ. მოსაზრებით კი, ციფრული მეწარმეობა არის „ტრადიციული მეწარმეობის შერიგება ბიზნესის შექმნის და კეთების ახალ გზებთან, ციფრულ ეპოქაში“ (Le Dinh et al., 2018: 1).

ციფრული მეწარმეობის თავისებურება და ტრდიციული

ნახაზი. იდეა-ინოვაცია-წარმატების ჯაჭვი ციფრულ მეწარმეობაში (Maglakelidze, 2020).



მეწარმეობისგან განსხვავებულობა მდგომარეობს იმაში, რომ გარიგების მხარეები ციფრულ პლატფორმაზე პოულობენ ერთმანეთს და ახორციელებენ საჭირო ტრანსაქციას. მაგალითად, Airbnb აკავშირებს სასტუმროს გამქირავებელს – დაქირავების მსურველთან. Airbnb იმით განსხვავდება ტრადიციული მეწარმეობის სასტუმროსგან, რომ არის ციფრული პლატფორმა, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური რესურსი (სასტუმრო) და ასევე, დასაქმებული თანამშრომლების შედარებით მცირე რაოდენობას საჭიროებს (Pioch, 2019: 3). იგივე ეხება amazon.com-ს, სადაც არა, მაგალითად, „წიგნი" ან რომელიმე სხვა პროდუქტი ქმნის ღირებულებას, არამედ, საჭირო ინფორმაციების მიმოხილვის, შერჩევის და გადაცემის ფუნქცია, მისი დროითი და სივრცითი შეზღუდულობისგან თავისუფალი ხელმისაწვდომობა, ინტერნეტში ელექტრონული შერჩევისა და შეკვეთის საშუალება. აღნიშნული „ციფრული (ელექტრონული) პროდუქტის" შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით (Kollmann, 2018: 186-187).

ციფრული მეწარმეობის სტრუქტურული მონახაზი, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, შედგება ხუთი კომპონენტისგან: ციფრული ცოდნის ბაზა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ბაზარი; ციფრული ბიზნეს გარემო; დაბეგვრა და ფინანსური გარემო; ციფრული უნარ-ჩვევები და ელექტრონული ლიდერობა (e-leadership); სამეწარმეო აზროვნება (European Commission, 2015: 15).

ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგიები, როგორიცაა სოციალური მედია, ღია პროგრამული უზრუნველყოფა და აპარატურა, ქრაუდსორსინგი, ელექტრონული ნდობა (e-trust) და ონლაინ რეპუტაციის შეფასება, 3D ბეჭდვა, დიდი ზომის მონაცემები (big data) და სხვა, შესაძლებლობას მისცემს მეწარმეებს, მნიშვნელოვნად შეამცირონ გამოგონებასა და ახალი კომპანიის შექმნას შორის არსებული ბარიერები (Sahut et al., 2019). ციფრული ეკონომიკა და მისი ფუძემდებლური ტექნოლოგიები წარმოადგენს მთავარ განვითარებად სფეროს და შესაბამისად, დაკავშირებულია მრავალ შესაძლებლობასთან (Kollmann, 2018). ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გავრცელება და მათზე მოსახლეობის უმრავლესობის წვდომა, ონლაინ კომერციული პროცესის მოქნილობა და სისწრაფე დღითიდღე მეტ ადამიანს უბიძგებს ციფრული პროდუქტითა და სერვისებით სარგებლობისაკენ. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული პანდემიის (COVID-19) გამო შეზღუდულია ფიზიკური გადაადგილება. ციფრული ტექნოლოგიები იძლევა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად. ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენება ხელს უწყობს ახალი ტიპის სამუშაო ადგილების გაჩენას (Sahut et al., 2019).

ამასთანავე, გაციფრულებას გააჩნია ნაკლოვანებები და ციფრული მეწარმეობა შეიცავს გარკვეულ რისკს. ასე, მაგალითად: ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ., ინტერნეტ სტარტაპების ელექტრონული შესყიდვით სარგებლობა), არსებობს ეჭვი მომხმარებლების მზაობის თვალსაზრისით, რაც რისკის შემცველია ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან და, შესაბამისად, ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით (Kollmann, 2018: 190); ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება, უპირატესობა მიანიჭოს კონკრეტულ ჯგუფებს, მას შეუძლია, ამასთანავე, დაზიანოს სხვები. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ციფრულმა დაშორიშორებამ შეიძლება, გააფართოვოს უფსკრული იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულების შექმნა შეუძლია ცალკეულ ქვეყანას და რამდენს შეუძლია მათი მოპოვება (Berger et al., 2019); ციფრული ეკოსისტემები მეწარმეებისგან ორი როლის შეთავსებას მოითხოვს: 1. როგორც, ეკოსისტემის წევრი და 2. როგორც საწარმოს ლიდერი, რაც ხშირად, ამ როლების შეუთავსებლობის გამო, წარმოშობს როლის კონფლიქტს და სტრესის მაღალ დონეს (Nambisan & baron, 2019); გაციფრულება იწვევს ტრადიციულ ეკონომიკაში არსებული სამუშაო ადგილების გამოთავისუფლებას; ასევე, არსებობს კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის რისკები.

3. ციფრული მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიატევად მეწარმეობას ალტერნატივა არ გააჩნია. ციფრულ სამყაროში, 5G ქსელი, ბლოკჩეინი, 3D ბეჭდვა და სხვა ტექნოლოგიური ინოვაციები უფრო სწრაფს, საიმედოს და მოქნილს ხდის ბიზნეს პროცესებს. ციფრული მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ციფრულ ეკოსისტემაში მოხდეს სულ უფრო მეტი პლატფორმის ინტეგრირება, რაც მეტ ციფრული ღირებულების შექმნას უზრუნველყოფს. პლატფორმები ინოვაციების სერიოზულ წყაროს წარმოადგენენ და ქსელის ეფექტების (Evans & Gawer, 2016) საშუალებით უფრო და უფრო მეტი მომხმარებლის მობილიზებას ახდენენ. დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი ციფრული პლატფორმების მაგალითებია: Mymarket.ge და Vendoo.ge (ელექტრონული კომერცია), Myhome.ge (უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პლატფორმა), Myauto.ge (მეორადი ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის პლატფორმა) და სხვა.

საქართველოში, სოციალიზმის არსებობის პირობებში, უცხო იყო კერძო სამეწარმეო აქტიურობა და, შესაბამისად, მოსახლეობა ხასიათდებოდა სამეწარმეო აზროვნებისა და ინიციატივის სიმწირით (ეს გავლენა დღემდე იგრძნობა). თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით აუცილებელია ინდივიდების აზროვნების მეტამორფოზა ინოვაციების, სამეწარმეო და ტექნოლოგიური მიმართულებით. ამისათვის, საჭიროა: პირველი, სამეწარმეო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, განათლების

მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და სისტემატიური რეალიზაცია დამწყები მეწარმეებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს ადეკვატური პროგრესული ცოდნის გადაცემას (Maglakelidze, 2019a: 127) და საზოგადოებაში რელევანტური სამეწარმეო და ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებას და მეორე, საქართველოს უნივერსიტეტებში პროირიტეტი მიენიჭოს და პოპულარიზაცია გაეწიოს ისეთ ფაკულტეტებს, რომლებიც მიმართულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლისაკენ და ამ სფეროში პროფესიონალების აღზრდისაკენ.

საქართველოში ციფრული მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ციფრულ ტექნოლოგიებზე სათანადო ხელმისაწვდომობის არქონა. ამასთანავე, საქართველოს მოსახლეობაში, ჯერჯერობით, არ არის გამომუშავებული ის ციფრული კულტურა და უნარ-ჩვევები, რაც კომერციული საქმიანობის ვირტუალურ სივრცეში განხორციელებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო მასშტაბით, საქართველო ციფრული განვითარების საშუალო დონეზეა: მსოფლიო ბანკის, ციფრული ათვისების ინდექსის (DAI) მიხედვით საქართველო, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, 2016 წელს 69-ე პოზიციას იკავებდა (worldbank.org); BBVA Research-ის ციფრული ინდექსის (DiGiX) 2019 წლის მონაცემებით კი, საქართველო, მსოფლიოს 99 ქვეყანას შორის, 57-ე ადგილზე იმყოფებოდა (bbvaresearch.com). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის ივლისის მონაცემებით, ქვეყანაში: ინტერნეტს აქტიურად იყენებდა შინამეურნეობების 70,6%, მათგან მხოლოდ 20,8%-მა შეიძინა საქონელი ან/და მომსახურება ციფრული არხებით. 2018 წელს, საწარმოების მხოლოდ 3,2%-მა მიიღო შეკვეთა ვებგვერდის მეშვეობით (geostat.ge). აღნიშნული მონაცემები, საზოგადოების მიერ და შესაბამისად, საწარმოებში კომერციული მიზნებისთვის ინტერნეტის გამოყენების დაბალ დონეზე მიუთითებს. ეს აუთვისებელი სეგმენტი კი, ამავდროულად, ქმნის სოლიდურ პოტენციალს ციფრული მეწარმეობის შემდგომი განვითარებისთვის.

ციფრული მეწარმეობის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან, ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და ციფრული მეწარმეობის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის არსებობა. აუცილებელია ციფრული სამეწარმეო კულტურის ამაღლება, რომელიც უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება (Erkomaishvili, 2019: 43). ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს უახლესი, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (Maglakelidze, 2019b: 175).

დასკვნა

სტატიაში განხილული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ინოვაციები და ტექნოლოგიები თანამედროვე მეწარმეობის მთავარი მამოძრავებელი ძალებია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ, ამ მიმართულებით აქცენტირება და ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების ამოქმედება პოზიტიურად უნდა წაადგეს ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს და სამეწარმეო ქცევის ტრანსფორმაციას.

საქართველოში, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ციფრული სამეწარმეო შესაძლებლობების გამოსავლენად და განსავითარებლად, უპრიანი იქნება შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: პირველი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მეტი რაოდენობის ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან და ციფრულ ტექნოლოგიებთან; მეორე, გაზარდოს ინოვაციური და ციფრული სამეწარმეო ინიციატივების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამების მასშტაბი, ასევე, სტარტაპებს ხელი შეუწყოს დაფინანსების წყაროების მოზიდვაში, გაუწიოს კონსულტაციები ვენჩერული ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რათა მეტი ტექნოლოგიატევადი ინოვაციური იდეის განხორციელება გახდეს შესაძლებელი; მესამე, საქართველოს უნივერსიტეტებში პრიმატი მიენიჭოს მეწარმეობის, ინოვაციების და ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებს; მეოთხე, უნდა გაფართოვდეს ინოვაციების ცენტრების ქსელი და შეიქმნას მსგავსი საგანმანათლებლო სივრცეები, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის) ტექნიკური და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

ლიტერატურა/REFERENCES

Bedianashvili, G. (2018) Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context. *Journal Globalization and Business,* N6, P.58-66 (In Georgian).

Bedianashvili, G. (2017) Formation of Knowledge Economy and Innovative Entrepreneurial Policy: Institutional Aspects. *Journal Globalization and Business,* N3, P.10-16 (In Georgian).

Erkomaishvili, G. (2019) Digital Economy – An Innovative Tool for Economic Growth. *Journal Economics and Business,* V.XI, N2, P.37-46 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2020) Challenges and Perspectives of Digital Entrepreneurship in Georgia. *Journal "Economics and Business,* V.XII, N3 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2019a) Development of Small and Medium Entrepreneurship and Formation of a Middle Class in Georgia. *Journal "Globalization and Business"*, N7, P.123-129 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2019b) For the Purpose of Forming National Innovation System in Georgia. *Journal "Economics and Business",* V.XI, N1, P.171-179 (In Georgian).

Berger, E. S. C., Briel, F., Davidsson, & P., Kuckertz, A. (2019) Digital or not - The future of entrepreneurship and innovation. *Journal of Business Research.* DOI: 10.1016/j.jbusres.2019.12.020

European Commission (2015) *Digital Entrepreneurship Scoreboard* 2015. Brussels. https://ec.europa.eu/growth/content/digital-entrepreneurship-scoreboard-2015-0_en

Evans, P. C. & Gawer, A. (2016) *The rise of the platform enterprise: a global survey.* https://www.thecge.net/app/uploads/2016/01/PDF-WEB-Platform-Survey_01_12.pdf

Kollmann, T. (2018) E-Entrepreneurship: Unternehmensgründung in der Net Economy. In Handbuch Entrepreneurship, *Hrsg*. G. Faltin, 181-199. Springer Gabler, Wiesbaden.

Kollmann, T. (2019) E-Entrepreneurship: Grundlagen der Unternehmensgründung in der digitalen Wirtschaft. 7. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden.

Le Dinh, T., Vu, M.C. & Ayayi, A. (2018) Towards a living lab for promoting the digital entrepreneurship process. *International Journal of Entrepreneurship*, 22(1), 1-17.

Nambisan, S. & Baron, R. A. (2019) On the costs of digital entrepreneurship: Role conflict, stress, and venture performance in digital platform-based ecosystems. *Journal of Business Research.* DOI: https://doi.org/10.1016/j.jbusres.2019.06.037

Nambisan, S. Wright, M. & Feldman, M. (2019) The digital transformation of innovation and entrepreneurship: Progress, challenges and key themes. *Research Policy,* 48(8). DOI: https://doi.org/10.1016/j.respol.2019.03.018

Piegeler, M. (2015) Entrepreneurship und Innovation: Stand der Forschung und politische Handlungsempfehlungen, *IW-Analysen*, No. 103, Institut der deutschen Wirtschaft (IW), Köln.

Pioch, S. (2019) Digital Entrepreneurship: ein Praxisleitfaden für die Entwicklung eines digitalen Produkts von der Idee bis zur Markteinführung. *Springer Gabler*, Wiesbaden.

Runge, W. (2014) *Technology Entrepreneurship: a Treatise on Entrepreneurs and Entrepreneurship for and in Technology Ventures*. Volume 1, KIT Scientific Publishing, Karlsruhe.

Sahut, J., Iandoli, L. & Teulon, F. (2019) *The age of digital entrepreneurship. Journal Small Business Economics.* DOI: https://doi.org/10.1007/s11187-019-00260-8

Schumpeter, J. (1931) Theorie der wirtschaftlichen Entwicklung: eine Untersuchung über Unternehmergewinn, Kapital, Kredit, Zins und den Konjunkturzyklus. Dritte Auflage. *Verlag von Duncker & Humblot,* München und Leipzig.

Whittington, D. (2018) *Digital Innovation and Entrepreneurship.* Cambridge University Press, Cambridge.

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/104/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebi /Last view 19 May, 2020/

https://www.bbvaresearch.com/en/publicaciones/digix-2019-tracking-digital-evolution/ /Last view 19 May, 2020/

https://www.worldbank.org/en/publication/wdr2016/Digital-Adoption-Index /Last view 19 May, 2020/